

ყველაზე გავრცელებული

ერთ წელიწადში
წავაშენებთ

კმუნი ჩოლო
გვანებენ?

ჩვენ ღებენ სკოლებს



ნახ. შ. შალვაშვილი

- არ შეიძლება, გავშვოს წელი რომ გავვიგრძელონ?
- რატომ?
- ამ წელში მშენებლობას ვერ დავამთავრებთ და შევრცხვებით!

10

1979 წლის 20 აპრილი

გამოცემის სახელი (11-1548)

საქართველო



ზოგს დიდოსტატის მკლავი უკუთხესი..
(როგორ არ არის გასაოცარი?)
არ მოუჭრია ერთი ჩუქურთმა,
ისეა დიდი ზურთმოდვარი.
ღვთაებრივ ფრესკებს ეცემა ბინდი
და ვარდის ფასი ადევს სამყურას.
ბეჭერი კაი უმის ნიჭსა და სინდისს
უჩინმაჩინის ქული ახურავს.
ნუთუ ღირსებად ხალღება ნაჭლი,
ნუთუ სიმაღლე უკუღმა ესმით?!
ყრმა ხევესურებმა ხარივით დაკლეს
ბეჭერი, მაგრამ გამწარდელი ლექსი.
რა მოხდა, ეჭვით რად დაინაღმა
სახელი მხატვრის, თანადროულის?! —
ბრძენს ურჩევნია ბრძუვის ნიღაბი,
მჭევრმეტყველს — მუხრის, მგოსანს — კლოუნის.
გაუტანლობის, შურის ეროსი
ისევ და ისევ ამრავლებს ცოდვებს,
მაგრამ დალოცვილ საქართველოში
არ შეიძლება, არ იყოს ცოტნეც!
საკითხავია, რას ვეტყვით შორეთს,
ხვალინდელ მსაჯულს და ისტორიას?!
სწორი პასუხი სადაა, თორემ
კითხვა ისედაც ყველა სწორია.
განა ცოტაა სადიდებელი?
მაგრამ სიცრუე მტრია ასკერ.
არც მსაჯული ვარ, არც ბრალმდებელი, —
პირიქით, — მგონი, მე ვიხდი სასჯელს!

ზოთა ნიშნინიქი

საღაღოო სტაქონეზი—50 წლის ზოთა ნიშნინიქი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ჰეი, სენა! სწორება! — ხოტბას გასხამ საჯაროდ!“ —
გმირულ ლექსთა ლაშქარის უძლეველი სარდალო!
„ქების ციკლოს“, იცოდე, ვერსად გაეპარები! —
ჩაგიკეტა კარები შენივ ლექსის პწკარებით!
ნახევარსაუკუნეობ, საქართველო, თბილისობ —
პოეტო-ფილოსოფოსო, ჯილდო-პრემიებმინისტრო!
შენი სამყარო — საპაპერბოლო, სააფორიზმო, სამეტაფორო —
ატაფუნებს ატომურ რიტმებს და ამ რიტმებში აზრი ბატონობს!
„ლექსად გარდათქვი“ ძველი და ახალი ქართლას ცხოვრება!
მკითხველთა ფართო მასების არის დღეს შენზე სწორება!
სულით ქართულ ზღაპრების, ლეგენდების, მითების —
ქენი ლექსი ზეიმობს და ზღვასავით ზვირთდება!..
მოელ შენს შემოქმედებას სისხლივით სდის მზის სხივი
და მალამოდ ეცხება სხვის ჭრილობას, სხვის ტკივილს!
„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო“ —
არის შენი პოეზიის საფრენი და სარეფრენო!
„დავით მეფეს ანისს ახლდი და შამქორთან ყიფინებდი!..
სულ ომობდი და სულ გქონდა საქართველოს ხსნის იმედი!
ქართველს აფხიზლებს მეხიანი შენი ძახილი:
„არ ჩაგვიძნოს, არ ჩაგვლიძნოს, შეიბ მახვილი!“
შენი „ხევესურის“ სტრიქონებს ხმლებად ხმარობენ ხევესურნი —
ხევესური სიამაყითა და სიზვიადით ხევესურით!
„ხარით“ ხარობენ ხარებიც — ნიკორანი თუ ნიშანი!..
მარტო „ხარისთვის“ ეკუთვნის შენს ლექსს ხარისხის ნიშანი!
ხარ „სასწაული მეტაფორების“, მეტაფორებად მემთავორები!
სტროფებს უმატებ ტემპერატურას მეტაფორათა მეტეორებით!
„მოგითმენია წყენა ურაცხვი, არ გიფიქრია სამაგიერო“,
„გაჩენილი ხარ სიყვარულისთვის“ — სიყვარულივით ყოვლადმღიერო!
ჩვენი ბიბლიის „ანბანის“ — შენ ხარ მესობზე — ვაზისა!
ვაზია შენი მუზეუმის ზედნაშენიც და ბაზისაც!
შენს ლექსში სტრიქონს ვერ ნახავ, რომ არ ეხვიოს ვენახი!
ახალი „შენ ხარ ვენახი“ შენ შექმენი და შენა ხარ!
რაც ნახე და განიცადე, ქართული ხმით იგალობე!
ახლა შენი გალობანი — გიხაროდეს — გრავალობენ!
„დანადმული ხარ საკუთარ გულით“ და საკუთარი სისხლის წვეთებით!..
როდესაც ხედავ უსამართლობას, მის მოსასპობად რისხვით ფეთქდები!..
მეღვრად ებრძვი „ქვეყნის ამკლებ ჰალსტუხიან ავაზაკებს“,
არ ახარებ არგასახარს და არ აქებ არასაქებს!
„პირზე ოფლგადამდინარეს“ — გადახდილი გაქვს ღვთის ვალი!
ახდენილი გაქვს ამქვეყნად ყველა ლამაზი საზმარი!
„შენივე ლექსის პწკარებში დამწყვდეული ხარ მგლისებრ“,
ცხრა მუზა ერთად გდარაჯობს, და გარეთ აღარ გიშვებს!
საუნჯი“ ხარ დატვირთული, „მგალობელი მაფშალიავ“
და ლექსები საჯაროდ რომ წაიკითხო, — არ გცლია!
შენს ყველა წიგნს წყურვილით გკითხულობდი დიდხანს:
„კარგა ბლომა გითესავს, კარგა ბლომა გიხნავს!“
სიმაღლეს პირში გეუბნები, არ გერიდები:
„ცათა კაბადონს შესწვდომიხარ სახელ-დიდებათ!“
შენს „სტრიქონზე მაღლარევიტ გასულია წარსული“
და გაქვს, რაინდ ცოტნესავით, ტანზე თაფლი წასმული!..
„ქართულ ხმებით დახორბლილ“ ლექსით ვაგაქვს ლელო!
მაგ მაღლიან ხმებისთვის ღმერთმა გაღლეგრძელოს!

ზაურ ბოლქვაძე

თოჯინები აღარ იყინიან!..

უნივერსალის ყველაზე ლამაზ-
სა და მხიარულ სექციას როცა უკმაყოფი-
ლო მომხმარებელი მიაღდება და აქ შე-
ძენილ სათამაშოზე აუგი წამოსცდება, მა-
შინვე წარბს იკრავენ თაროების ზედა სა-
რთულიდან მომზირალი თოჯინები, მათ
სახეებზე მყისვე ქრება ღიმილი.

კეთილი თოჯინების გულისტკივილი
ადვილი მისასვენებია; სათამაშოებმა
ბავშვს მხოლოდ სიხარული უნდა აჩუქონ,
აკი ამიტომაც მათ მშობლიურ ფაბრიკას
„სიხარული“ ჰქვია. სწორედ ამიტომ იყო,
რომ უნივერსალ „თბილისში“ უკმაყოფი-
ლო მუშტრის გამორჩენა სათამაშოების სე-
ქციის ბინადართა გულისწყრომა გამოიწ-
ვია.

— თქვენს უნივერსალში მაშამ გემის
კონსტრუქტორი „ბრიგანტინა“ მიყიდა.
წინასწარ ვუხეიმობდი, მაგრამ ჩემი სიხა-

რული ნაადრევი გამოდგა. იმხელა კონს-
ტრუქციას თან ახლდა პაწია ბოთლი, რო-
მელსაც წებო ფსკერს ძლივს უფარავდა.
შევუდექი გემის აწყობას, მაგრამ წებო
მალე გამითავდა, გემი აუწყობელი დამრ-
ჩა. — შესწირდა თოჯინებს ნორჩი მომხ-
მარებელი.

გულისხმიერმა თოჯინებმა საქონელ-
მცოდნეს მიმართეს.

— რა გუყოთ, ზოგჯერ ასეც ხდება, აგ-
ერ სათამაშო პისტოლეტების მთელ პარ-
ტიას საწყობიდანვე უკან ვაგზავნით, ზამ-
ბარების ნუმერაცია არეული აქვთ, დოლ-
ურა არ ტრიალებს და არც ისვრის.


— მაშინ აღარც „ბრიგანტინა“ უნდა
მოგეტანათ დახლამდე! — ვედარ მოითმი-
ნა ერთმა თოჯინამ.

— „ბრიგანტინა“ პოპულარულია ჩვენი
ქვეყნის ბავშვებში, მას წუნს ვინ დას-

დებს, მაგრამ წებოს ბოთლს ჰერმეტიკ-
ლად არ ჰქონდა მორგებული საცობი და აქ-
როლადი სითხე ნაწილობრივ „გაიპარა“.
„ბრიგანტინას“ მორიგ პარტიებს კარგად
დასუფუთი საგნე ბოთლები ახლავს და
წებოც საკმარისია.

ამ პასუხზე თოჯინებმა შევებით ამოი-
სუნთქეს, მაგრამ ღიმილი მაინც აღარ
დაუბრუნდათ, რადგან უკმაყოფილო ნორჩ
მუშტარს ამით მაინც არაფერი ეშველა.
კეთილ თოჯინებს იმ ბავშვებზეც სწყდებო-
დათ გული, ვინც ადრე გამოშვებული
„ბრიგანტინა“ შეიძინა და წებოს გამო
მისი აწყობა ვერ შეძლო და ვერც უნივე-
რსალამდე საჩივრელად მისვლა მოახერ-
ხა. სწორედ ამიტომ აღარ იცნობდნენ!..

არაინდო არაშენი



— ამ გავშვს მდიდარი მონაცემები აქვს!
— ამ გავშვს კი მდიდარი მამა აქვს!

როგორ ვაღიარებოთ უფროსი

მლიქვნალობა დასახმარებლად

პატივცემულო, მინდა, რომ ავწიო თქვენი სასმისი!
აქ რომ გაქვს და გადიდეს, ასე იმდენის ხარტ ღირსი!
ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ თქვენთან თამაშად ვსაუბრობ,
რა თავმდაბალი ბრძანდებით, სულაც არ გავხაროთ სხვა უფროსს!
მთელ კოლექტივში, დღედაღამ, ყველა თქვენს სიტყვას ნატრულობს,
ჩვენთან კი, პატივცემულო, პურის ჭამასაც კადრულობთ!
თქვენი ისეთი ხათრი მაქვს, როგორც — ამქვეყნად არვისი!
თქვენ რომ უფროსად არ გვყავდეთ, რა გვეშველება, არ ვიცით!
მსურს, საყვედურიც შეგკადროთ: თავს რად არ უვლით სრულიად?!
როდისღა წახვალთ კურორტზე, კოლექტივს ერთი სული აქვს!
ამდენი ხანი მუშაობთ, ჯერ შევბუღება არ გახსოვთ,
მარტო ის კმარა, სიკეთით ჩვენ რომ ყელამდე აგვაგოსოთ?!
რთულ და დაძაბულ შრომაში ვერ ამჩნევთ, ისე გადის დრო.
ორმოცდაათის ხდებით და იუბილუმზე არც ჟღერებთ!
კაცი კი არა, ოქრო ხარო, რა დედა გშობათ, ნეტავი?!
თქვენ რომ უფროსად არ გვყავდეთ, ხომ მოვიკალი მე თავი?!
მინდა, სულ იყოთ ჯანმრთელი და ასე იბადრებოდეთ,
ნეტავ, თქვენებრი ქართველი ყოველდღე იბადრებოდეს!
ხარტ მცოდნე, განათლებული, ვით ხელმძღვანელი — უბადლო!
მე რომ დღეს კაცად ვითვლები, თქვენს ამავს უნდა გუმადლო!
კაცია ჰუმანისტიო, თქვენზე სუყველა ამბობს დღეს,
(სხვა დირექტორი ერთ დღეს არ გამაჩერებდა ამ პოსტზე!)
თქვენი უფროსი შვილიყო ნამდვილად არის საქები,
თავი მომჭერით, თუ იგი გამოვა თქვენზე ნაკლები!
უმცროსი გენიოსია, გეზრდებათ, მარა, რა შვილი,
მისგან ან ვაჟა გამოვა, ან, ნაღდად, ბარათაშვილი!
რა უმაღლესი სიძე გყავთ, ინსტიტუტშიაც მოხვდა წელს,
იმისი სახით ქართველ ურს ეზრდება დიდი მოღვაწე!
ეს სადღევრძელო, ბიჭებო, ხომ ხედავთ, აღარ მწყინდება...
ჩვენს სულს, გულს, მამას, მესაჭეს — ბატონ დირექტორს დიდება!

პანო მინაძე

დახასიათება

— მიხეილი კარგი კაცია!
— ვინც არ იცნობს, იმის-
თვის კი!
— აბა, უყურე, როგორ
ულიმის მოსაუბრეს!
— მოსაუბრე კი არა, ის კა-
ცი მისი უფროსია!
— ამ დილით ბავშვებს რა
თავაზიანად ეპყრობოდა!
— მისი შვილები იყვნენ
და!..
— მუყაითი და ხელმომ-
ჭირნეა, უბრალოდ კაპიკს არ
დახარჯავს!
— კი, თავისი ჯიბიდან!
— კარგი ხელმძღვანელია!
— თავის სახლში!
— შესანიშნავი ორატორია.
მისი გამოსვლა ყოველთვის
მწვავეა და კრიტიკული!
— კი, როცა სხვას აკრი-
ტიკებს!..
— კოლეგიალობის მომხ-
რეა!
— იმ შემთხვევაში, როცა
პასუხისმგებლობა თავის თავ-
ზე უნდა აიღოს!

— კეთილია და ხელგაშლი-
ლი!..
— როცა საქმე სხვის ქონე-
ბას და თავის ავტორიტეტს
ეხება!..
— მორალურად მტკიცეა!
— ამ საკითხზე სხვა აზრი
აქვს მეორე ცოლს!
— ლმობიერია!
— როცა მას სჭირდება!
— თავმდაბალია!
— როცა მასზე მაღალს ხე-
დავს!
— ნათესავენს თავს ევ-
ლება!
— იმათ, ვინც სჭირდება!..
— მთიცათ, მეგობარო, რა-
ტომ მეწინააღმდეგებით?! ეს
ყველაფერი ხომ ჩემი მოგონი-
ლი არაა, მე მისი დახასია-
თება მაქვს წაკითხული!
— ჰოდა, ის დახასიათება
მე დავწერე!..

ბეგლარ მუჯირიშვილი

* * *

● თუ იტყვი, ნუ გადათქვამ და თუ გადათქვამ, ნუ იტყვი!
● დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმას დაფიქრებული დგომა სჯობს!
● სასწორმა დაიჭრა ბახა: მე და გამყიდველს ყოველთვის მაღალი მაჩვენებლები გვაქვს!

ალექსი ოპროპირიძე

სახალხო მთავრობები:

დანე ბაიაშვილი,
ილიშვილის რ-ნი. (სოფ. ჩაღაძე)

არგენტინის ექი

ეროვნული
გონიერება

ალბათ, გომგზავრით თბილისიდან ფოთამდე მატარებელი, ყველა ბაქანზე რომ ჩრდილდება და მგზავრებს აგროვებს. დაახლოებით ასე იყო ჩვენი მოგზაურობაც ბუენოს-აირესამდე, ანუ სუფთა პაერის ქალაქამდე, როგორც მას არგენტინელები უწოდებენ.

გზად, ორი დღით, ესპანეთის დედაქალაქში შეგჩერდით. პირველ დღეს არ გამოვსულვართ პრადოს მუზეუმის დარბაზებიდან, სადაც ველასკესის, გოიას, ელ-გრეკოს და სხვა ისტატიკის შექმნის ორიგინალები ინახება. მეორე დღეს კი „ივერის“ კომპანიამ კომფორტაბელური ავტობუსით ქალაქის ღირსშესანიშნაობები დაგვთვალაგვინა. დღის ბოლოს კი ჩვენი ავტობუსი მდღისგან გაშენებულ ცენტრალურ პარკში შეჩერდა, საიდანაც ქალაქი ხელისგულზე მოჩანს. იქვე, პატარა მინდორზე, ახალგაზრდებს ფეხბურთი გაეჩაღებინათ. ქართველებს გულმა აღარ მოგვითმინა და მადრიდელი მობურთალები „საერთაშორისო“ შეხვედრაში გამოვიწვიეთ... ვლადიმერ ელოშვილმა, ავთანდილ ჭყუასელმა და გიორგი ბაქანიძემ შარვლის ტრეტები აიკაპივნეს, მე ცენტრალურ მცველად გამაწყვეს. გახურდა თამაში... მეათე წუთზე ვ. ელოშვილმა მესხი-გუცაივის სტილში მოატყუა ოთხი მოწინააღმდეგე, მეკარეს გვერდით აუარა და ტიპური ქართული გოლი გაიტანა. ეს მეორე „საერთაშორისო“ საპრინციპული ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. პირველი თამაში, არ დავიმაღლოთ, 1974 წელს დასავლეთ გერმანიის სტუდენტებს თავიანთ მოედანზე — სტუდენტულ ქალაქში მოუვლეთ ანგარიშით 2:0. მაშინ ჩვენს გუნდში თამაშობდნენ მ. მესხი, ა. ჭყუასელი და ს. ჯეჯელავა, მე კი კარის დარჯად დამაყენეს. კარის სივანე იყო ორი მეტრი და 10 სმ. იმერტომ გავიმარჯვეთ მშრალი ანგარიშით. მესამე დღეს არგენტინისკენ ავიღეთ კურსი. ოციოდე საათის ფრენის შემდეგ (თავისი გაჩერებებით) ჩვენი ლაინერის შასები არგენტინის დედაქალაქის აეროპორტის ბეტონის ბილიკებს შეეხო... როგორც კი დავბინავდით სასტუმრო „მილანში“, რომელიც ქალაქის ცენტრში, მთავარი ქუჩის კორინტის გვერდით მდებარეობს, მაშინვე, ქართველი ჟურნალისტებისაგან შემდგარი ჯგუფი, ქუჩაში გამოვიდით, რათა შევერთებოდით იმ ზეიმს, რომლითაც იმ საღამოს ცხოვრობდა არგენტინის დედაქალაქი. კორინტის სადღესასწაულოდ იყო მორთული. ქალაქის მცხოვრებლები ოჯახებით, გამოსულიყვენ გარეთ და „სამბას“ რიტმში გამარჯვების საწინდარ ჰიმნს — „არგენტინა არგენტინა...“-ს მღეროდნენ. დიდსა და პატარას ეროვნული დროშები ეჭირათ ხელში და გაღიმებული სახეებით მიიბიჯებდნენ გამარჯვების ობელისკისაკენ, რომელიც კორინტისისა და ავენიდა ნუევა და ხულის გადაკვეთაზეა აღმართული.

ჩვენი გავყევით ხალხის ტალღას და, როცა საკმაოდ მოვიღალეთ, სასტუმროსაკენ ავიღეთ გზი. სულ ორი კვარტალიც არ გვქონდა გველილი, რომ მოგვესმა შეძახილი: „სადა ხართ, კაცო!“ ჩვენკენ ხელგაშლილი კოტე მახრამდე მოდიოდა, — „თქვენთან ვიყავი სასტუმროში, რომ არ დამხვდით, ვიფიქრე, აქეთ წამოვიდოდნენ-მეთქი, ალბათ არ მიმტყუნა, და, ჰაერ, გზაზე კიდეც!“ მერე კი მახრამდე მი-

გვიბატია მანქანაში, რომელიც კომენტატორებისთვის იყო გამოყოფილი და თვითონვე მართავდა. ბუენოს-აირესის ქუჩები კვადრატულად დაყოფილი. აქ ყველგან ცალმხრივი მოძრაობაა, ასე რომ, იმ საღამოს იმდენი რამე ვნახეთ, რასაც ალბათ, მთელი სამი დღის განმავლობაში ვერ ვნახავდით, მე სულ აქეთ-იქით ვიციკრებოდი გადაციციებით, რათა თვალი მომეკრა ფრანგი მოქანდაკის — ბურდე-ლის მიერ შესრულებულ არგენტინის ეროვნული გმირის — გენერალ ალვეარესის ცხენიანი ბრინჯაოს ქანდაკებისათვის. კოტემ რომ ასეთი დანატრესება შემატყო, ყველა ცხენიან ფიგურასთან აჩერება მანქანას, ეს ხომ არ არის ალვეარესი? ცხენიანი ფიგურები კი ბუენოს-აირესში უმაჩრად, ოღონდ დაბალ მხატვრულ დონეზე შესრულებული. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა კოტემ, მანქანა ერთ ქანდაკებასთან შეაჩერა. მხედარს ორჯერ ხელი ალვირზე ეყიდა. „ეს ხომ არ არის?“ — მკითხა. არა, გენერალ ალვეარესი მარჯვენა ხელი ზეაღმართული აქვს-მეთქი. „შე აცო, იქნებ ხელი დაეღალა?“ — იხუმრა ვიღაცამ მანქანაში.

14 ივნისს, არგენტინა-პოლონეთის მატჩზე წასვლის წინ, ჯინსის სომბრერო დავიხურე, რომელსაც ლესელიძის ქუჩაზე კერავენ თბილისელი ოსტატები. ამ ქუდს დიდი მოწონება ჰქონდა არგენტინელებში. ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი მოვიდა და მთხოვა: მითხარი, თუ ძმა ხარ, სად იყავი ეგ ქუდი და რა ღირს? მე ვუთხარი: დოლარნახევარი ღირს, აგერ, იქ ვიყავი, მარჯვნივ რომ მაღაზიაა-მეთქი. იგი მაღე დაბრუნდა და გაწმინდულმა მითხრა: აღარ არის, გათავებულია. მეც აღარ გავამხილე, რომ სომბრერო თბილისური იყო. ჩვენი სასტუმროს კვარტალშივე იყო მოთავსებული პრესცენტრის შენობა, საიდანაც პრესის ავტობუსებით დავდიოდით რივერ-პლეიტის სტადიონზე. შესვლისას პოლიცია საგულდაგულოდ ჩხრეკდა მაყურებელს, რომ ვინმეს იარაღი არ შეეცანა.

18 ივნისს სამი მატჩი (გერმანია-პოლანდია, პერუ-პოლონეთი და არგენტინა-ბრაზილია) ვნახეთ კაცის სიმაღლე ფერადი ტელეეკრანით, რომელიც პრესცენტრში იდგა.

რივერ-პლეიტის სტადიონზე ჟურნალისტებისათვის გამოყოფილი იყო ყველაზე კარგი ადგილები — დასავლეთი ტრიბუნის მეორე იარუსი. ინდივიდუალური სავარძლებით, საწერი მაგიდებით, სანათურებითა და პორტატული ტელევიზორებით. პრესლოჯში, როგორც მას უწოდებდნენ, ავდიოდით ოთხი ლიფტით. თითოეულში ოც კაცამდე ეტეოდა. პრესლოჯის ფოთი გაწყობილი იყო ტყაჯის სავარძლებითა და დაბალი მაგიდებით. ფოთი-ში იყო რამდენიმე ბარი, ლუდთან ერთად, უაღკოპოლო სასმელები და ყავა იყიდებოდა.

ქართველი ჟურნალისტები მატჩის დაწყებამდე ნებეზრად მოვეწყობოდით ხოლმე ტყაჯის სავარძლებში და ვკამათობდით ფეხბურთზე. პირველივე მატჩზე ჩვენთან მოვიდა მაღალი, ქალაქმერიული არგენტინელი და დაინტერესდა ჩვენი ვანაობით. ჩვენ, როგორც იყო, გავაგებინეთ, რომ საქართველოდან ვართ. მას სახე გაუბრწყინდა და კომპეტენტურად ვანაცხადა: ამ სტადიონზე ბევრი ფეხბურთელი მი-ნახავს, მაგრამ ისეთი ფეხბურთელი, როგორიც თქვენი მიხეილ მესხია, ჯერ არ შემხვედრიაო. ჩვენ ვთხოვეთ, ნათქვამი ქალაქზე დაეწერა, რათა შემდეგ გამოგვეყენებინა ჩვენს პრესა-ში. მან თავი დაგვიქნია და სადაც გაუჩინარდა. თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ მხიარული სახით მოგვიახლოვდა და საზეიმოდ გადმოგვცა დაბეჭდილი თაბახი, რომელსაც ხელს აწერდა არგენტინის რადიოსა და ტელევიზიის კომენტატორი უმბერტო რისი.

შემდეგ თამაშზე იმავე ფოთში გავეცანით ცნობილ ფეხბურთელს დი-სტეფანოს. ეთხოვეთ, სტადიონის ბილეთებზე წაეწერა ავტოგრაფი. დი-სტეფანო დაინტერესდა ჩვენით და როცა გაიგო, საქართველოდან ვიყავით, გაიღიმა, თითი მაღლა ასწია და გარკვევით წარმოსთქვა: „მესხი! მეტრეველი!“ მე იქვე დავხატე დი-სტეფანოს მეგობრული მარჯი და ვაჩუქე მას.

რივერ-პლეიტის სტადიონზე, ტიპებს შუა, მოედნის ცენტრში, გამოდიოდნენ არგენტინის

ეროვნული ნაკრების ფორმაში გამოწყობილი 13-14 წლის ნორჩი ფეხბურთელები და მხიარული მუსიკის ფონზე ასრულებდნენ ფანტასტიკურ ტრიუკებს ბურთით. ამის წარმოდგენა ან აღწერა შეუძლებელია, ეს უნდა ნახო საკუთარი თვალით, რომ დაიციო. ფინალური თამაშის შესვენების დროს ამ თავისებურ შეჩიბრებაში გამარჯვებულ ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელებს დი-სტეფანომ და ბობი ჩარლტონმა გადასცეს პრიზები. დი-სტეფანომ ერთი წარმოუდგენელი ფინტი შესასრულა და ბურთი ერთ-ერთ გამარჯვებულს გადაუგდო. ნორჩმა ვირტუოზმა ბურთი პაერშივე დაიჭირა და იქვე გაიმეორა დი-სტეფანოს ფინტი. თქვენთვის ცნობილია არგენტინელ გულშემატკივართა ფანატიზმი, მაგრამ მათ ობიექტურობას თავისი უნდა მიეზღოს. ფინალური თამაშის დროს, სადაც კულმინაციამ უმადლეს წერტილს მიაღწია, ისინი წონასწორობას არ კარგავდნენ. როცა არგენტინელმა კემპესმა პირველი ბურთი გაიტანა ჰოლანდიელების კარში, ტრიბუნებზე რა ხდებოდა, ყოველგვარ ფანტაზიას აღემატება, მხოლოდ ერთი შემთხვევა ვთქვა: მთელი სტადიონი გაითერდა ქალაქის ფიერებრივებისაგან, მხოლოდ დასავლეთი ტრიბუნის მეორე იარუსზე, სადაც მთელი მსოფლიოს სპორტული ჟურნალისტები ისხდნენ, გოლს თავშეკავებული ემოციით შეხვდნენ. როცა ჰოლანდიელებმა გაიტანეს საპასუხო ბურთი, მთელი სტადიონი, როგორც ერთი კაცი, გაიტრუნა და არგენტინელი ჟურნალისტის თვლებში ამოვიცოთხე გამარჯვებისადმი ეჭვი, რასაც იგი ვაჟაკურად შეხვდა. მაშინ კი, როცა უკანასკნელ სეკუნდებში ბურთი არგენტინელების კარის ძეღს მოხვდა, მან განწირულად გაიქნია თავი და ცას შეხვდა. მე გავიფიქრე, რომ ჩემპიონატის შემდეგ არგენტინელებმა უნდა ამოთხარონ თავიანთი კარის მარჯვენა ძელი და გადაიტანონ ქალაქის ცენტრში, როგორც მსხნელი.

როცა გაისმა საფინალო სასტვენის ხმა, მაყურებლები გადაცივიდნენ სტადიონზე, მათ შორის გოგონებიც იყვნენ. ყველა ფეხზე ადგა და აცემლბული მღეროდა არგენტინის ჰიმნს. კარის ძეღს მოხვდა, მან განწირულად გაიქნია თავი და ცას შეხვდა. მე გავიფიქრე, რომ ჩემპიონატის შემდეგ არგენტინელებმა უნდა ამოთხარონ თავიანთი კარის მარჯვენა ძელი და გადაიტანონ ქალაქის ცენტრში, როგორც მსხნელი.

სტადიონიდან სასტუმრომდე ჩვენი ავტობუსები ძლივს მიიკვლევდნენ გზას ზღვა ხალხში, რომელსაც უკვე მოეწყრო ქალაქში გამოსვლა. ჩვენ იძულებული ვიყავით, ოთხი კვარტალით ადრე, ავტობუსიდან გადმოვსულიყავით და ფეხით მივსულიყავით სასტუმრომდე, საიდანაც, იმავე საღამოს, მოტოციკლეტების ესკორტის თანხლებით, ძლივს მივალწიეთ აეროპორტს.

გზად შეგჩერდით ისევ ესპანეთში, სადაც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს ფეხბურთში.

ჩაო! ესპანეთიდან ჩამოსვლამდე!

ვიგლა ფირცხალავა ნახატები ავტორისა



არგენტინა ჩემპიონია



მეორე „საერთაშორისო“ მატჩი მაღრიდში.



— ჩვენი უფროსი რომ ტრესტის მმართველად გადაჰყავთ, ჰერჯერით საიდუმლო!

— აბა, ყველა ნაბას ლაპარაკობს!

პატარების ბარათები— ნიანგს!

ძვირფასო ნიანგო! ჩვენს მშობლებს ათი შვილი ეყავართ, მოგვცეს კიდევ ოთხთახიანი ბინა **გლდანის** მასივში, ჯავახურეთ ბავშვებმა კეთილმოწყობილი ბინით, მაგრამ ნაადრევი გამოდგა ჩვენი სიხარული: ჩვენს ბინას ბევრი რამ, მაგალითად, ჭერი, კედლები, კარები, ფანჯრები, იატაკი, სანტექნიკური მოწყობილობა, ელექტროგაყვანილობა, გათბობის რადიატორები სულაც არა აქვს კეთილად მოწყობილი, ყველაფერს ხელახლა გაკეთება უნდა! გთხოვთ დაგვეხმაროთ, ძია ნიანგო, მიგვიწვდინოთ ხმა, ვისაც ეხება, რომ ჩვენი ახალი ბინა ახლად შეგვიკეთონ!

თბილისი გლდანის მასივი, II მიკრორაიონი, 32-ე კორპუსი, III სადარბაზო, 6-ე სართული, ბინა 112. დათიანუხილავის ოჯახი

ძია ნიანგო! წელს ჩვენი წელია და გვინდა, ყოველგვარი ნაკლოვანება და უწყესიერობა წელსვე გამოვასწოროთ: შარშან მიწისძვრამ დაანგრია ჩვენი საბავშვო ბაღის შენობა, შარშანვე აგვიშენეს ახალი და, ნეტავი შარშანაც ბავშვის წელი ყოფილიყო, მაშინ ვერ გაბედავდნენ მშენებლები საბავშვო ბაღისათვის შენობის ასე უხარისხოდ აშენებას. ახალაშენებული შენობა უკვე ძველსა ჰგავს, ჭერიდანაც უკვე წყალი ჩამოდის.

გთხოვთ, ძია ნიანგო, გაგვიგოთ წელს ფიქრობენ თუ არა ჩვენი ბაღის შენობის შეკეთება-დამთავრებას?

ღმანისის რაიონის სოფელ განთიადის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები

ნარკვი

— თუ ამალამაც მთვრალი მოხვალ, თავს მოვიკლავ! — შეაშინა ცოლმა ქმარი. ქმარი დილით მივიდა მთვრალი.

— უფროსო, ეს კაცი მილიციაში ისეთი მთვრალი მოვიყვანეთ, რომ მძღოლს თუმნიანს აძლევდა!..

— ნეტავ, ცოლის თხოვაც განვადებით ხდებოდეს — არ გადაიხდი და ჩამოგართმევინ!

— მივხვდი, რომ გამყიდველი 200 გრამში მატყუებდა.

— მერე, რატომ არ უთხარი?!

— მომერიდა, ვგრძნობდი, შერცხვებოდა.

● **წონაში** ატყუებდნენ და წონასწორობას მაინც არ კარგავდა.

● **პარბსკამს** თუ ეძებ, კარგი მაგიდაც უნდა ეძებო!

— „ვოლგა“ ვიყიდე — შვილმა წამართვა, „ჟიგული“ ვიყიდე — ცოლმა წამართვა, „ნივა“ ვიყიდე — სიდედრმა წამართვა. ახლა ამ ციხეს არავინ მართმევს და ვარ მშვიდალ!

კვლევით ინსტიტუტში

უფროსი: რა არის ეს, ბოლოს და ბოლოს?! სამსახურში კროსგორდის ამოხსნის მეტი არაფერი უნდა გააკეთო?

თანამშრომელი: რატომ, პატივცემულო, ჭადრაკსაც ვთამაშობთ!

მურმან მერკვილიშვილი



— ჩემს ტელეფონში სულ სიმღერები ისმის!..

— აბა, ახლა ტელევიზორით მომდერალსა ვერ გამოვარჩენთ!

რისი იმედით, რისი იმედით, ვისი იმედით ახელ მაგ თვალებს?! რას არ ეძებდი, რას არ იძენდი, შენი წარსული ქრთამით ვალალებს!

შეძუდურებდი ლხინში საჩუქრებს, სხვისი ფულებით ქორწილს იხდიდი! შენი დღეები გსურის და გამუქებს, მოულოდნელად ჩაგემსხვრა ხიდი!

შენ გამდიდრებას სხვისით ელოდი, ტყებოდი სხვისი ფულების თვლით! წარსული გაწევს მხრებზე, ვით ლოდი, ქრთამმა წაგბილწა, ქრთამმა დაგფლითა!

დრომ შენი ზრახვა მისრის-მოსრისა! ბნელში სუნთქავენ ბნელი ძალები! ძონძროხა ტანი, ყბები ღორისა, გამობლესილი შვერჩა თვალები!

ზიხარ ოთახში, თავლაფდასხმული, ხელში გიჭირავს ქარვის მძივები! არ გშველის ქარვა, დაფე ასხმული, ფიქრში ამაოდ ჩაიძირები!

თავზე ხელს გისვამს თანამზრახველი — ტყავის შუბლით და მორგვის კისერით! ქრთამმა წაგართვა კაცის სახელი, ხალხის სიყვარულს ვერ ეღირსები!

გონდო კახელავა

ლილოვები

— მგონი დავიღუპე!
— რა მოხდა?
— შენს ცოლს იმპორტული კაბა აცვია და, ეს-ეს არის, ჩემს ცოლს დაელაპარაკა!

— ერთი ტრაქტორი ცვლის კოლმეურნეთა მთელ ორ ბრიგადას!
— კი მაგრამ, რაღას აკეთებენ ამ ბრიგადების წევრები?
— ტრაქტორი გასარემონტებელია და ნაწილებს დაეძებენ!

ავთანდილ ქიმიერიძე

ურავები

● **XXI საუკუნეში** გამოცემულმა მეცნიერულმა ნაშრომმა — „არსებობდა თუ არა მტკვარში თევზი?“ — დიდი ინტერესი გამოიწვია.

● **ცხენის** შეწირვამ გამოიწვია... ავტომობილის გამოჩენა.


ანდრო კოკოლია

● **ერთი** კაცი ყოველდღე იწონებოდა სასწორზე და მაინც მერყეობდა.

● **ერთი** კაცი შემოსავლიან ადგილს ითხოვდა, უფროსმა კი გამოსავალი უპოვა.

ზურაბ მამულაშვილი

„გვერდის ეკონომიკა შეიძლება შევადაროთ კაიროს ერთ-ერთ ძველ, დანგრევის პირას მისულ სახლს, რომელიც სადაცაა წაიქცევა. რით შეუძლია აშშ-ს დაეხმაროს? საქმე იმაშია, რომ გვერდის მთავრობას უნდა ეს დარღვეული სახლი ახლიდან გადახუროს. ახალი ჭერი მის მდგმურებს დროებით დაიცავს მზისა და წვიმისაგან, მაგრამ დანგრევის ვერ გადაარჩენს. უფრო მეტიც, — ზედმეტი სიმძიმე ზევიდან დააჩქარებს კატასტროფას.“



მძიმე სახურავი

მთავარი რედაქტორი ზურბან გეგაზუშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლშაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომიძე, ნ. მაღალაშვილი (მხატვ. რედ.), ბ. ნიუნიაშვილი, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. შირცხალავა, ი. ზელიძე
 ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● საბირისა და იუმორის შურონალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, საქართველოს კ. ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 23/IV 79 წ. ზელმოწერილია დასაბეჭდად 22/IV-79 წ. ქალაქის ზომა 70×108/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაზახი 1.7 ● საქართველოს კ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 1247 შპ 00721 ტირ. 144.000 ● თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, Сатирико-юмористический журнал «Ниянги». ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
 ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ა. აღდუშვილი, გ. კუცია, ბ. ფიროზოვა.